

შპს როქ ლოჯისტიკსი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

შპს როქ ლოჯისტიკსი

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული
წლისათვის

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	5
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	6
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	7
1 ზოგადი ნაწილი	7
2 მომზადების საფუძველი	7
3 გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა	8
4 ფულადი სახსრები.	12
5 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.	13
6 ძირითადი საშუალებები.	13
7 ინვესტიცია	13
8 სავაჭრო ვალდებულებები.	13
9 ამონაგები და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	14
10 რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	14
11 ადმინისტრაციული ხარჯები.	14
12 ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	14

შპს როქ ლოჯისტიკა

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდის მდგომარეობით
(1 ლარი)

აქტივები	31.12.2024	31.12.2023
მიმდინარე აქტივები		
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	89 310	561 000
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1 677 293	954 050
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	201 815	183 706
სხვა მოკლევადიანი აქტივები	22 337	21 675
სულ მოკლევადიანი აქტივები	1 990 755	1 720 431
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	541 583	707 732
მონაწილეობა სხვა საზოგადოებაში	2 548 923	0
სულ გრძელვადიანი აქტივები	3 090 506	707 732
სულ აქტივები	5 081 261	2 428 163
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		
მოკლევადიანი ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	10 381	11 256
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		
საგადასახადო ვალდებულებები	36 548	619
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	46 929	11 875
გრძელვადიანი ვალდებულებები		
სესხი	0	0
დამფუძნებლის შენატანი		
სულ გრძელვადიანი ვალდებულება	0	0
სულ ვალდებულებები	46 929	11 875
საკუთარი კაპიტალი		
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	5 034 332	2 416 288
სულ საკუთარი კაპიტალი	5 034 332	2 416 288
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	5 081 261	2 428 163

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2025 წლის 29 აგვისტოს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი

მთ. ბუღალტერი



შპს როქ ლოჯისტიკსი
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს
(ლარი)

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის
(1 ლარი)

საქმიანობის შედეგები	31.12.2024	31.12.2023
ნეტო ამონაგები	5 324 266	3 786 440
გაყიდვების თვითღირებულება	-1 855 295	-1 670 622
საერთო მოგება	3 468 971	2 115 816
დასაქმებულთა ანაზღაურება	-693 806	-551 835
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	- 127 545	- 101 748
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-29 576	- 13 809
სულ საოპერაციო ხარჯები	- 850 927	-667 392
საოპერაციო მოგება	2 585 700	1 448 424
საკურსო სხვაობა	32 344	0
მოგება დაბეგვრამდე	2 618 045	1 448 424
გაუნაწილებელი მოგება წლის ბოლოს	5 034 332	2 416 288

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2025 წლის 29 აგვისტოს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი _____
მთ. ბუღალტერი _____

შპს როქ ლოჯისტიკა
 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
 საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს
 (ლარში)

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის
 (1 ლარი)

ნაშთი 01.01.2023	0	967 864
სხვა ცვლილება		
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		1 448 424
დივიდენდის განაწილება		
ნაშთი 31.12.2023		2 416 288
ნაშთი 01.01.2024	0	2 416 288
სხვა ცვლილება		
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		2 618 044
დივიდენდის განაწილება		
ნაშთი 31.12.2024		5 034 332

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2025 წლის 29 აგვისტოს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი _____

მთ. ბუღალტერი _____

შპს როქ ლოჯისტიკის

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

(საოპერაციო საქმიანობიდან ნაკადების წარდგენის პირდაპირი მეთოდით)
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის
(1 ლარი)

	2024	2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მყიდველებისა და დამკვეთისაგან მიღებული ფულადი სახსრები	5 016 091	3 177 036
მომწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები	-2 119 493	-1 603 581
გაცემული შრომის ანაზღაურება	-537 465	-409 380
გადახდილი გადასახადი	-55 916	-14 089
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები	-359 763	-312 259
ფულადი სახსრების წმინდა ნაზარდი საოპერაციო საქმიანობიდან	2 043 454	837 727
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების გაყიდვა	25 728	14 765
ძირითადი საშუალებების შეძენა	0	-433 146
ინვესტიცია	-2 548 923	
ფულადი სახსრების წმინდა ნაზარდი საინვესტიციო საქმიანობიდან	-2 523 194	-418 381
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
მიღებული სესხი		
გაცემული/დაფარული სესხი		
სესხის %		
დივიდენდის გაცემა		
ფულადი სახსრების წმინდა ნაზარდი საფინანსო საქმიანობიდან		
სავალუტო კურსის ცვლილების ეფექტი ფულად სახსრებზე და მათ ექვივალენტზე	8 052	-8 957
ფულადი სახსრების წმინდა ნაზარდი	- 471 690	428 300
ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისისთვის	561 000	132 700
ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოსთვის	89 310	561 000

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2025 წლის 29 აგვისტოს შემდეგ პირთა მიერ:
დირექტორი _____

შპს როქ ლოჯისტიკსი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

მთ. ბუღალტერი



ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

შპს „როქ ლოჯისტიკსი“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრებულია 2019 წლის 31 იანვარს საიდენტიფიკაციო კოდით 418 473 128, იურიდიული მისამართი – საქართველო, ქალაქი გორი, ეკ. გაბაშვილის ქუჩა, N3 კომპანია დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად.

კომპანიის ძირითადი მეწილეები არიან:

ლერი რაზმაძე 100%;

კომპანიის დირექტორია ლერი რაზმაძე

კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა: სატვირთო საგზაო ტრანსპორტი

წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი

2024 წლის კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი – დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

შპს როქ ლოჯისტიკსი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელოს, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

3.გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

საექვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის აღიარება.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური

იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

სატრანსპორტო საშუალება/სპეც ტექნიკა- 10 წელი;

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების

შპს როქ ლოჯისტიკის

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისის შემთხვევებისა).

2024 წელს საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD = 2. 8068 ლარი

100 RUB= 2. 5405 ლარი.

4. ფულადი სახსრები.

ფული და ფულის ექვივალენტები შედგება:

	2024	2023
ნაღდი ფული სალაროში	0	0
ლარები ადგილობრივ საბანკო ანგარიშზე	6 202	56 974
აშშ დოლარი ადგილობრივ საბანკო ანგარიშზე	38 734	490 250
რუბლი ადგილობრივ საბანკო ანგარიშზე	44 374	13 776

შპს როქ ლოჯისტიკა

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.

სავაჭრო მოთხოვნები შედგება:

	2024	2023
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	1 652 818	951 669
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	24 475	2 381
ავანსად გაცემული ფულადი სახსრები	201 815	183 706

2024 წლის ბოლოსათვის, კომპანიას საექვო ვალები არ აქვს. გადაუხდელი მოთხოვნები არის საქართველოს რეზიდენტი იურიდიული და ფიზიკური პირების წინაშე რომლის მიღებასაც კომპანიის მოელის წინასწარ განსაზღვრული ვადებში.

6. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები მოიცავს:

სატრანსპორტო საშუალება/სპეც ტექნიკა

საწყისი ღირებულება 1 091 842 ცვეთა 567 316 ლ

სხვა აქტივები: საწყისი ღირებულება 17 058 ლ

7. ინვესტიცია

2024 წლის ივლისიდან კომპანია ფლობს 10% წილს შპს ვაკატორედი სნ 404598850

8. სავაჭრო ვალდებულებები.

სავაჭრო ვალდებულებები შედგება:

	2024	2023
სავაჭრო ვალდებულებები	10 381	11 256
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	0	0
საგადასახადო ვალდებულებები	36 548	619

31.12.2024 წ. მდგომარეობით, კომპანიის კრედიტორებს წარმოადგენს საქართველოს რეზიდენტი კომპანიები.

შპს როქ ლოჯისტიკის

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

9. ამონაგები და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება 2024 წელს, კომპანიის ამონაგები შედგება:

საქონლის გაყიდვიდან	293 685
მომსახურების გაწევიდან	5 300 021

10. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

კომპანიის 2024 წლის რეალიზებული მომსახურების თვითღირებულება შედგება:

რეალიზებული პროდუქციის ღირებულება	291 241
გადაზიდვის მომსახურების ღირებულება	1 855 295

11. ადმინისტრაციული ხარჯები.

კომპანიის 2024 წლის ადმინისტრაციული დანახარჯი შედგება:

საპროცენტო ხარჯი	0
საბანკო ხარჯი	1 488
ქონების გადასახადის ხარჯი	15 143
სხვა ადმინისტრაციული და საერთო ხარჯი	12 945

12. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია კომპანიის
ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 29 აგვისტო